



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება [*Patrick Breyer v. Bundesrepublik Deutschland, C-582/14, ECLI:EU:C:2016:779*](#)

მოკლე მიმოხილვა:

ბატონმა ბრაიერმა გერმანიის ეროვნულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა გერმანიის სახელმწიფო უწყებების საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდებზე ვიზიტის შემდგომ თავისი ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართის¹ შენახვისგან თავის შეკავებას.

აღნიშნული სარჩელი ეროვნულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო, ხოლო ეროვნულმა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა. მან განმარტა, რომ დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი² მხოლოდ მაშინ წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემს, როდესაც სხვა მონაცემებთან ერთად, მომხმარებელი ვებგვერდზე ყოფნის დროს გაამჟღავნებდა თავის ვინაობას. სხვა შემთხვევაში ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი არ იყო პერსონალური მონაცემი, რადგან წევრ სახელმწიფოს (გერმანია), როგორც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებელს, განსხვავებით ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლისგან, არ შეეძლო მომხმარებლის იდენტიფიცირება.

მოგვიანებით, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა, რომ შენახული მონაცემები, მათ შორის, მოსარჩელის დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი, არ იძლეოდა პირის პირდაპირი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ვებგვერდების ოპერატორებს კი მისი იდენტიფიცირება შეეძლოთ იმ შემთხვევაში, თუ ვინაობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მათ მიაწვდიდა ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი.

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემდეგი შეკითხვით:

დირექტივის 95/46/EC მე-2(a) მუხლის მიხედვით, წარმოადგენს თუ არა პერსონალურ მონაცემს ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი, რომელსაც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებელი იღებს და ინახავს მის ვებგვერდზე წვდომის შედეგად, როდესაც მესამე მხარე – ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი – ფლობს პირის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დამატებით ინფორმაციას.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის 95/46/EC მე-2(a) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი, რომელიც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე პირის ვიზიტისას რეგისტრირდება, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, როდესაც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებელს აქვს სამართლებრივი საშუალებები, რათა განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის

¹ ინტერნეტ-პროტოკოლის (IP address) მისამართი არის ციფრების სერია, რომელიც ენიჭება ქსელთან დაკავშირებულ კომპიუტერებს, რათა ხელი შეეწყოს მათ კომუნიკაციას ინტერნეტის საშუალებით. როდესაც ვებგვერდზე ხდება შესვლა, კომპიუტერის ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი გადაეცემა იმ სერვერს, რომელშიც აღნიშნული ვებგვერდია შენახული.

² დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი (Dynamic IP address) არის პირობითი მისამართი, რომლის მინიჭებაც ხდება ყოველ ჯერზე ინტერნეტთან დაკავშირებისას და იცვლება შემდგომი კავშირის დამყარებისას.

იდენტიფიცირება, ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელთან არსებული დამატებითი მონაცემების გამოყენებით.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

32 [...] „პერსონალური მონაცემები“ „გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს („მონაცემთა სუბიექტი“)“. [...] იდენტიფიცირებადი არის პირი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, პირდაპირ ან არაპირდაპირ [...].

[...]

39 [...] იმისთვის, რომ განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა [...] დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი პერსონალურ მონაცემს დირექტივის 96/45/EC მე-2(a) მუხლის მნიშვნელობით ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებლისთვის, უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა ასეთი ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი [...] ჩაითვალოს „იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან“ დაკავშირებულ მონაცემად, როდესაც ვებგვერდის მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დამატებითი მონაცემები [...] დაცულია ამ მომხმარებლის ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელთან.

[...]

41 ევროკავშირის კანონმდებლის მიერ სიტყვის „არაპირდაპირი“ გამოყენება გულისხმობს, რომ ინფორმაციის პერსონალურ მონაცემად მიჩნევისთვის აუცილებელი არ არის, რომ მხოლოდ ეს ინფორმაცია იძლეოდეს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას.

42 მეტიც, დირექტივის 95/46/EC პრეამბულის 26-ე პუნქტის მიხედვით, იმის დასადგენად, არის თუ არა პირი იდენტიფიცირებადი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის საშუალება, რომელიც აღნიშნული პირის იდენტიფიცირების მიზნით გონივრული ალბათობით შეიძლება გამოიყენოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა ან ნებისმიერმა სხვა პირმა.

43 რამდენადაც პრეამბულის აღნიშნული 26-ე პუნქტი უთითებს იმ საშუალებებზე, რომლებიც გონივრული ალბათობით შეიძლება გამოიყენოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა ან „ნებისმიერმა სხვა პირმა“, თავისი ფორმულირებით მიაჩნია, რომ ამ ინფორმაციის დირექტივის მე-2(a) მუხლის მნიშვნელობით „პერსონალურ მონაცემად“ მიჩნევისთვის არ არის აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი მთელი ინფორმაციის ერთ პირთან თავმოყრა.“

[...]

45 [...] უნდა დადგინდეს, დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართისა და ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელთან დაცული დამატებითი მონაცემების კომბინირების შესაძლებლობა წარმოადგენს თუ არა იმ საშუალებას, რომელიც გონივრული ალბათობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის.

[...]

47 მიუხედავად იმისა, რომ [...] გერმანიის კანონმდებლობა არ უშვებს ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლის მიერ ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებლისთვის მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის გადაცემას პირდაპირი გზით, როგორც ჩანს [...], განსაკუთრებით, კიბერთავდასხმის შემთხვევებში, არსებობს სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებელს შესაძლებლობას აძლევს, დაუკავშირდეს კომპეტენტურ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს საჭირო ზომები აღნიშნული ინფორმაციის ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლისგან მოსაპოვებლად და სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.

[...]

48 ამგვარად, როგორც დგინდება, ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებელი ფლობს საშუალებებს, რომლებიც გონივრული ალბათობით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის მესამე პირების დახმარებით, როგორიცაა კომპეტენტური ორგანო და

ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი, შენახული ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართების საფუძველზე.

49 ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, [...] დირექტივის 95/46/EC მე-2(a) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ დინამიკური ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი, რომელიც ონლაინ მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე პირის ვიზიტისას რეგისტრირდება, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, [...], ამ მიმწოდებელთან მიმართებით, როდესაც ამ უკანასკნელს აქვს სამართლებრივი საშუალებები, რათა განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელთან პირის შესახებ არსებული დამატებითი მონაცემების გამოყენებით.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC „პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებით ინდივიდების დაცვის შესახებ“ (გაუქმდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციით (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“).
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 95/46/EC მე-2(a) მუხლი (ამჟამად აღნიშნულ დებულებას შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციის (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC“ (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)) მე-4(1) მუხლი)
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი (სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	ინტერნეტ-პროტოკოლის მისამართი
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება Patrick Breyer v. Bundesrepublik Deutschland, C-582/14, ECLI:EU:C:2016:779

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.